ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 513

“ 20 ” ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გამზირი დ. აღმაშენებელი, № 16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.032.015), 22 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ნოდარ ლებანიძისთვის (პირადი №01007010358) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.032.015) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ ლებანიძისთვის (პ/ნ. 01007010358) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის №23.1496.1658 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გამზირი დ. აღმაშენებელი, №16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.032.015), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ამავე განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, 22 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ნოდარ ლებანიძისთვის (პირადი №01007010358) გადაცემაზე.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5280 (ხუთი ათას ორას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე